ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:№48. 482533928

თარიღი:05/12/2025

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მესამე ნაწილის ,,ა" პუნქტის, ამავე კანონის 85-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 61-ე მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს დებულება დანართი N 1-ის შესაბამისად.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს დებულების განთავსება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (tskaltubo.gov.ge) დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორად სტრუქტურულ ერთეულს-საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ღონისძიების მართვის განყოფილებას.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ მერის 2024 წლის 17 აპრილის №48. 482410886 ბრძანება.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11) .

გრიგოლი ყურაშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიცური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი